

ზურაბ ანტონოვი

ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა

(ნამდვილი კომედია ორ მოქმედებითა)

თ. გრიგოლ ღრეზაკოვი, პოლკოვნიკი-----

პარმენ იასამანიძე, სტ. სოვეტნიკი ----- ლიტერატორები

თ. გაუყრელაძე, გოროდნიჩი.

გოგია, ბიძა ამისი, მოხუცებული.

ივანე, მსახური ამათი.

ნენე, გამზრდელი გოგიას შვილებისა.

დესეტნიკი.

იასაული

მამასახლისი

გზირი

ბერუა -----

ნინიკა ----- გლეხები.

თინათინა, გლეხის ქვრივი.

ტასია, თავადის ქვრივი.

ტასია, თავადის ქვრივი.

ბარბარე, გამზრდელი ამისი

იორდანე -----

გლახა ----- მეტივეები

სოფლის ხალხი -----

მოქმედება: I – გორში; II უფლისციხეში.

### მოქმედება პირველი

(სცენა წარმოადგენს გოროდნიჩის ზაღასა. მებელით მორთულსა. გოროდნიჩი სკამზედ ზის ხალათითა და გოგია წამოწოლილია დივანზედა)

### გამოსვლა პირველი

გოგია – ჩემო ძმისწულო, უბრძანე ბიჭსა, სუფრა გაშალოს, პური მომშივდა ვეჟო.

გოროდნიჩი – ცოტა მოითმინეთ, ჯერ შუადღის ზარები არ დაურეკიათ.

გოგია - ახირებულია თქვენმა მზემა, ვეჟო, არ ვიცი, ზარების რაკარუკი რა ჩემი მუცლის მბრძანებელია; როცა მომშივა, სადილი მაშინ მინდა.

გოროდნიჩი – რათ იცით ბიძიავ, ამ ძველმა ხალხმა მალ-მალ პურის მოშივნა და ადრე სადილის მირთმევა?

გოგია – იმიტომ, რომ თქვენსავით მცონარე არა ვართ.

გოროდნიჩი – ჩვენა ვართ მცონარე?

გოგია – მა რა ჯანაბაა, თუ არა ხართ: დილით შუადამემდისინა გძინავთ.

გოროდნიჩი – იმისთვისა, რომ ჩვენ ღამე დროს ვატარებთ.

გოგია – რას ეშმაკებში ატარებთ? თქვენი დროის გატარება ის არის, გიჭირამტ აის მათუშკებიანი ბანქო და გიჟივით ხელეებსა შლით; ერთი იძახით ბისტ, მეორე ვისტ, მესამე პრაფირანც და მეოთხე ვინ იცის რას ჯანამასა; მერე ის ტიელი რაღაც პროფირანცია, ბოლო ხო აღარ მოედება, სწორეთ სუდის დავაა.

გათენებამდის იმ ბანქოების შლას უნდებოთ, მერე წახვალთ და გუთნისდედის სადილობამდინა გძინავთ. როცა გაიღვიძებთ, სამ-ოთხ დიდ ტაქან ჩაის დალევთ და, რაღაც ეშმაკური ლემენცის პური შემოიღეთ, თითოს იმას შეატანთ. რასაკვირველია, თქვენ მალე აღარ მოგშივათ.

გოროდნიჩი – ბიძიავ, თქვენც მიირთვით ჩაი, ვინ გშლით?

გოგია – იმისმა გაოსრებამა, რაც მე თბილს წყალს მუცელი არ ვაჭუჭყებინო.

გოროდნიჩი – მაშ, თქვენც ჩვენსავით ღამე ქაღალდის თამაშობას შეექცით და გვიან დაგეძინებათ, მეორეს დღეს სწორეთ სადილობის დროს გაგვეღვიძებათ და სადილიც მზათ იქნება.

გოგია – მერე რა სიამოვნება უნდა ვნახო ბანქოების გადაშლა-გადმოშლით?

გოროდნიჩი – ოჰ, ძალიან საუცხოო, ბიძიაშვილობამა.

გოგია – კარგი ერთი, მამაშენი ნუ წაგიწყდება, ჩემო ძმისწულო. იმის გადაშლ-გადმოშლასა ის არა სჯობს, მოვიდგა დოქით ღვინო და კულით ვარაკრაკო, კარგა მივზარხოშდე და ასე დავიძინო, რომ წვილის კბენაც ვეღარ გავიგო. აი, თუ გინდა შექცევა, ეს არის.

გოროდნიჩი – რა არის, ბიძაჩემო, რომ ამ ძველს კაცებს აგრე გიყვართ ღვინო? სულ ღვინო და ღვინო.

გოგია – ვეუო, რატომ არ გვეყვარება, თქვენი ჭიიმე? სულისა არს მარგებელი და ხორცისა. არა, ე თქვენი ბანქოები რას ეშმაკებში არის გამოსაყენებელი? ბიძია-შვილობამა, მე მაგ ბანქოებისაგან ბევრი კაცი მინახავს, რომ ცოლის ლეჩაქს მთარბენინებდეს დასაგირაგებლათა და თამის უძილობა ის არის, რომ თვალის ჩინს გილევთ და ავათა ხდებით.

გოროდნიჩი – განა ბევრის ღვინის სმით არ გახდებით ავათა?

გოგია – სულაც არა, თქვენმა მზემა, არ გაგიგონია იმ ცხონებულის ნათქვამი ლექსი (მღერობს)

რაც სენი უკურნალ-იყოს, არიალალი,

ღვინოა მისი წამალი, თარიალალი! <sup>1</sup> (თ. ა. ჭავჭავაძის)

ვენაცვალე ამ ლექსის მთქმელს გამჩენში და კულის მამგონსაცა. რამტელიც წვეთი ღვინო კულისაგან პირში ჩამივა, იმტელი წვეთი სისხლი მემატება ჯანში და გულს მიხარებს (გოროდნიჩი იცინის) ჰო, გაიცინე, გაიცინე... მჭადს მოვიტეს, აი... რას იცინი, სწორეს არ ვამბობ?

გოროდნიჩი – მეტი რა ღონეა, უნდა გეთანხმო. მაშ, უბრძანებ ბიჭსა, სუფრა გაშალოს.

გოგია – ჰო... აბა, ახლა ხარ კარგი კაცი, აი... ღმერთმა მაგისტონა კეთილი ყოველთვის გათქმეინოს.

გოროდნიჩი - (იცინის) ბიჭო, სტოლი დააგე(ივანე შემოიტანს პადნოსით პრიბორსა, სუფრას გაშლის სტოლზედა და ზედ აწყობს დანა-ჩანგალსა)

გოგია - (შეტევით ბიჭსა) შენ ეი, მამაჩემი ნუ წამიწყდება, წამოვდგები და კბილებს დაგამტვრევ.

ივანე – რათა შენი ჭიიმე, რა დამიშავებია?

გოგია – დაშავება მეტი რაღა უნდა? არა, შე ყურუმსალო, ქრისტიანულათ მაგ ტიელ ტოლზედ უწინ პური და ღვინო დააწყო, ვუნემ მაგ ეშმაკების ჩხარა-ჩხურის აყენებასა! <sup>1</sup> (ძველს დროში ქართველთ სუფრაზედ დანა-ჩანგლის ხმარება არა სცოდნიათ და იმისათვის მოხუცებულთ ენაჯიშებათ)

ივანე – რა ვქნა, შენი ჭიიმე, მოდა ასე გახლავსო.

გოგია – მამა გიცხონდა, მამაშენმა ბერუამაც ბევრი იცოდა მოღები! (გოროდნიჩი იცინის) ეჰ, კარგია ერთი, მამაშენი ნუ წაგიწყდება, ჩემო ძმისწულო, აბა რა გაცინებს? ყველაში კი უკუღმა წახვედით ახლანდელი ხალხი და.

გამოსვლა მეორე

დესიატნიკი – (შემოვა და მოახსენებს) ბატონო, ვილაც ორი ჩინიანი კაცები მობძანდნენ, შენი ჭირიმე და თქვენს ნახვასა ნდომობენ.

გოროდნიჩი – ვინ არიან?

დესიატნიკი – რა მოგახსენო, შენი ჭირიმე, ასე ჰსთქვეს, ლიტრიანები ვართო.

გოგია – რას მიჰქარავ ნეტა! ლიტრიანი კაცები რატომ არ გამიგონია?

გოროდნიჩი – ჰო, მივხვდი, მივხვდი, ლიტერატორები იქნებიან, მართლა აქ უნდა მოსულიყვნენ. წადი, სთხოვე აქ მობძანდნენ, შენ გამოუძებს და გზა ასწავლე (დესიატნიკი გავა).

გოგია – ლიტერატორები რა არის?

გოროდნიჩი – ლიტერატორები ეთქმისთ მაღალს ფაზზედ ნასწავლთ ხალხთა, შევსილთა ყოვლის მწერლობითის და მხატვრობითის ხელოვნებითა.

გოგია – ეგრე სთქვა, შე მამაცხონებულო, სანამ იმ ეშმაკურის სახელის თქმასა?

გოროდნიჩი – ბიჭო, აილე სუფრა, ისევ გაიტანე.

გოგია – ვეიო!! რათ გაიტანოს ვეუო?

გოროდნიჩი – სირცხვილია, გაზდილი ხალხნი არიან, დამძრახვენ, შუადღეზედ ადრე პურსა სჭამსო, მოვიდნენ ისინიცა, იმათთვისაც დავამზადებინებ რასმე და მერე ერთათა ვსჭამოთ.

გოგია – ფეხი მოსტეხოდათ გზაზედა, რომ პატარა გვიან მოსულიყვნენ, ნეტავი მითხრა, რას დაეხირებიან აქა-იქა?

გოროდნიჩი – ხატვენ ძველსა შენობაებსა, ციხე-ქალაქსა, მონასტრებსა და სხვებსა, მერე ისტორიას ადგენენ.

გოგია – ჩვენი ხეობისაკენ რომ დადიან, ის მხატვრები არიან ეგენი?

გოროდნიჩი – არა. თქვენ მეუვეწიკებსა ბრძანებთ, ეგენი სხვა განათლებული კაცნი არიან.

გოგია – განათლებული? მე თქვენ მოგახსენო, სული წმიდა აღგებათ თავზედა. მაგათი განათლება ის იქნება, შენსავით მარხვის ჭამა ეცოდინებათ და ქალების არშიყობა, - აი, თუ მაგათაც ისე დაემართათ, როგორც იმ ერთს მხატვარს მოუვიდა ჩვენს ტყეშია.

გოროდნიჩი – რა მოუვიდა?

გოგია – (დაცინვით) რაღა რა მოუვიდა, ვეჟო. მივა, შენი ჭიმიე, ჩემო ბატონო და, ხან ერთ ხეს წამოუწვება ძირში, ხატავს და, ხან მეორესა მივიდა, შენი ჭიმიე, ერთს დიდს ვაშლის ხეს წამოუწვა ძირში და ხატვა დაუწყო. ჩვენ ხევს გამოღმა ვისხედით და უცქეროდით. თურმე, ნუ ბძანებ, შენი ჭიმიე, ზედ ერთი დათვი არა ზის! როგორც ამან დურბინდი აიღო და ხეს მაღლა ახედა, იმ ტიელს დათვსა თოფი ეგონა!.. ერთი დაბლუგლა საშინელის ხმითა, ბლუო... და, მოფრინდა ეს შენი მხატვარი ხევისაკენა. მე მივაძახე: დახატე, დახატე, ტოტები მეტ-ნაკლები არ მოგივიდეს-მეთქი. ხა... ხა... ხა... დაეწყდით სიცილითა(იცინიან ორნივე).

გოროდნიჩი – ეგ ყველა კარგი ბიძიავ, მაგრამ ბიჭს უბრძანეთ, კაბა შემოგიტანოს, ჩაიცვით, ახალუხა ნუ დახვდებით, სირცხვილია.

გოგია – ვითომ რატომაო? მეფეს დავხდებოდი ხოლმე ჩემს სახლში ახალუხა და ეგენი ვინ არიან?

გოროდნიჩი – ეჰ... კარგი ერთი, ბიძიაშვილობასა, ნუ ახირდები და ნუ შემარცხვენ იმათთანა. ის დრო სხვა იყო და ეს დრო სხვა არის. არ ვიცი, რა ხარჯი გაგდის კაბის ჩაცმითა?!. გავალ, მეც მუნდირს ჩავიცვავე და ისე მივიღებ.

გოგია – კარგი ჰო, ნუ ჯავრობ ჩავიცვავე.

გოროდნიჩი – (გასძახებს) ბიჭო, კაბა მოართვი!(გავა თითონ)

ივანე – (შემოუტანს კაბასა) ინებეთ შენი ჭირიმი!

გოგია – ჩამაცვი, ბიჭო! (ბიჭი აცმევს კაბასა და გოგია განავრცელებს ლაპარაკსა) ჰეი გიდი, დროვ, დროვ, ძველო ჩვენო დროვ!.. სად იყო ამტელი პრანჭვა-გრეხა, რაც ეხლა შემოიღეს. უწინ ასე კი არ ვიპრიწებოდით, მაგრამ

გული კი კარგი და ალალი გვქონდა. – იმის სულის მზემა, მეფესთან შევიდოდი ხოლმე პაჭიჭებითა და ძველის ტანისამოსითა, მაგრამ ის კი არ იწყენდა ამიტომ, რომ ის უცქერდა კაცის ალალ გულსა და არა საცმელსა. და ეხლა თუ გაპრეწილი არა ხარ და კარგათ არ გაცვია, მაშინვე დაგძრახამენ. ესე იტყვიან ხომე აი (გააჯავრებს): Что за невежа... მართალია, ტანისამოსს ეხლა სუფთათ იცმენ და გულზედაც ტყლაპის ტოლას რაღასაც თეთრს ფარატინს იფარებენ, მაგრამ შიგნით გული, ოოჰ!.. ასეთი შავათ გამურული აქვსთ, ასი წლის გაუწმენდელს ბუხარზედ უარესი. ეჰ, რაღა მეთქმის, ტყუილიაა, ჩემის ჭკუისას ვედარასა ვხედავ და ისევ ისა სჯობს, დავჩუმდე(ბიჭს) გადი, შენც რაღაც ჟარკოი-მარკოი იცი, ისინი დაუმზადე შენს ბატონსა, თორემ გაგხეთქავს ცემითა(ბიჭი გავა).

### გამოსვლა მესამე

ივინივე, გოროდნიჩი, პარმენ და გრიგოლ

გოროდნიჩი – (შემოუძღვრება და მიიწვევს) შემობრძანდით, ბატონებო, თქვენი ჭირიმე. მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს თქვენისთანა სტუმრები ვიმოვნე. დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე.

პარმენ – ჩვენც გმადლობთ მიღებისათვის თუ უკაცრავათ არ ვიყო, ეს მოხუცებული ვინ ბძანდება?

გოროდნიჩი – ეგ გახლავსთ, თქვენი ჭირიმე, ბიძაჩემი.

პარმენ – მშვიდობით ბრძანდებით მოხუცებულო? კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

გოგია – (ქუდმოხდით მძიმეთ თავს დაუკრავს და უკმაყოფილოთ) გმადლობთ... (იქით) ამათ აქებდა ჩემი ძმისწული, კარგი ჭკვიანი კაცები არიანო? რაში ეტყობათ კარგი კაცობა, თქვენი ჭირიმე?.. მართალია, ჩინები კი ბევრი აყრიათ, მაგრამ მგონია, თავში კი მაგტელი არა ედოსთ რა.

გრიგოლ – კნიაზო, მე მიყვარს მოხუცებულები.

გოგია – მგონია ყმაწვილი ქალები კი უფრო? (ყველანი გაიცინებენ)

გოროდნიჩი – დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე.

პარმენ – მე აქ მოხუცებულთან ახლო დავსჯდები (ყველანი დასხდებიან და გოგია სკამს შორს გაიწევს)

გოროდნიჩი – ბატონებო, მიბძანეთ თქვენი ჭირიმე, თქვენი აქ მობძანების მიზეზი?

პარმენ – ჩვენ გახლდით თეძამის ხეობაში, იქაურს მდებარეობასა და მონასტრებს ვხატავდით, მერე შევიტყეთ...

გოგია – (ლაპარაკს გააწვევებინებს ბატონო, მამათქვენი ნუ წაგიწყდებათ, ერთი ეს მიბრძანეთ, ტყუილათ რათა სცდებით და ან ჯაფასა სწევთ. ვინც გააჩინა, კიდევ დახატა და კიდევ გაათავა.

პარმენ - (სიცილით) ისტორიას ვადგენთ, როგორს მდებარეობაშია ეხლა საქართველო და ან უწინ როგორ ყოფილა.

გოგია – მაშ, იმასაც შიგ ჩასწერთ, რამტელიც ტურა და მგელი დადის იქა, კა? (ყველანი იცინიან).

გოროდნიჩი – (პარმენს და გრიგოლს გაყენებით) მამათქვენ ნუ წაგიწყდებათ, ნუ გეწყინებათ მაგისი ლაპარაკი, ეგ ძრიელ მოხუცებულია და ნამდვილ ძველის ჩვეულების კაცი, ამისათვის ჩვენი დრო და საქციელი ძალიან წინააღმდეგაობ უჩანს.

გრიგოლ – რას ბრძანებთ, რა საწყენია!.. მოხუცებულის ხასიათი ყოველთვის ეგ არის, რომ ახალს აღარას მოიწონებს და ყოველივე თავისი დროისი მოსწონს.

გოროდნიჩი – (პარმენს) ბატონო, სიტყვას ნუ დაივიწყებთ. მერე რა შეიტყეთ?

პარმენ – ვითომ თუ იქ, ახალქალაქის ახლომახლო სოფელში, ერთი მშვენიერი ქალი არისო. ეს თბილისშიაც გაგვეგონა და უფრო იმისთვის წამოვედით (აჩვენებს გრიგოლზედ), ამათ საშინელი სურვილი აქვს მშვენიერის ქალის გარდახატვისა. აღარ მომეშვა: წავიდეთ, იმისი პორტრეტი ავიღოთო. თუმცა, ახალქალაქიდგანვე ტფილისში უნდა წამოვსულიყავით, მაგრამ ამათ ხათრი არ



გაუტყეხე და წავედით იმ ქალთანა. თურმე ის უფლისციხეს წასულიყო აქაურის გამოქვაბულების სანახავათა. მერე ჩვენცა ვსთქვით: მაინც უფლისციხის ნახვაც გვინდა, წავიდეთ, ისიც დავხატოთ და ქალსაც იქა ვნახავთ. – აი, მიზეზი ჩვენის აქ მოსვლისა.

გოროდნიჩი – ძალიან კეთილი.

გოგია – (იქით) ჰო, გოგია კი ვერ მიხვდა წელანვე. ჩამაცივდა ჩემი ძმისწული, თუ განათლებულები არიანო. აი, ამათი განათლება! ამოდენა კაცებს აუღიათ თავი და ერთს ქალს დასდევენ უკან კუდისკუდა. აი, ერთი კარგი პატრონი ამათა და სხვილი სახრე ურტყას და ურტყას, თუ რას დასდევთ უკან მაც ქალსა.

გოროდნიჩი – მაშ, გთხოვთ ბატონებო, ჩემთან იზაკუსკოთ და ისე წაბძანდეთ.

გრიგოლ – მადლობელი გახლავართ, ძალიან კარგი იქნება.

გოროდნიჩი – (გასძახებს) ბიჭო, შემოდი სტოლი დასდგი და ზაკუსკა მოგვართვი - (ივანე შემოვა, დასდგავს სტოლსა და შემოიტანს ზაკუსკასა).

გრიგოლ – კნიაზო, საუცხოო მდებარეობა ჰქონია გორსა.

გოგია – ძალიან კარგი.

გრიგოლ – ციხეც მშვენიერს ალაგს არის, თქვენმა მზემა, ეტყობა, ჰაერიც კარგი უნდა იყოს აქა.

გოროდნიჩი – საუცხოო, თქვენმა მზემა.

გრიგოლ – პარმენ, ეტყობა, ეს ქალაქი დიდის ხნის აშენებული უნდა იყოს?

პარმენ – ამ ქალაქის აშენების რიცხვი არა სჩანს, ხოლოდ გეოგრაფიული აღწერა ქართლისა აჩვენებს, რომ ირაკლიმ უწოდა ტონთილო და ციხე ჰყო საგანძურთ შესანახათა.

გოგია – (იქით) აიჰა, გაუტიეს თავიანთებურათა. მოდი და ახლა შენ მიჰყევ ამათა (იმათ). ბატონებო, რას ბრძანებთ, ირაკლი ჩემს დროს არა ბრძანდებოდა! რის ტონთით, რის გადატონთით? გორის ციხეს უძახდა.

პარმენ – არა კნიაზო, ის ირაკლი სხვა ბრძანდებოდა, ვიზანტის კეისარი იყო.

გოგია – ვიზანტია რა ოხრობაა? ეტყობა, ეშმაკების მეფე იქნებოდა.

პარმენ – (სიცილის შემდეგ) კნიაზო, ვიზანტია სტანბოლსა ჰქვიან.

გოგია – ჰო... ეგრე ბძანო, სინამ იმ ეშმაკური სახელის თქმასა?

გოროდნინი – ბატონებო, ინებეთ ზაკუსკა, თქვენი ჭირიმე. (დასხდებიან ყველანი და დაიწყებენ ზაკუსკის ჭამასა–

გრიგოლ – ვგონებ, საქართველოს პირველი ქალაქი მცხეთა იყო?

პარმენ – დიახ. როდესაც ქართლოს, მამა ქართველთა, თავის ძმას, ჰაოსს, სომეხთ მამას გაეყარა, მაშინ მოვიდა ქართლში; ბინა დაიდო არმაზის ციხე-კოშკებში, სადაც დასაფლავდა თითონ. შემდეგ იმის სიკვდილისა მცხეთოს, შეიღმან მისმან, ააშენა მცხეთა, როგორც თავის წილმხვედრს მამულში და დაემკვიდრა იქა.

გრიგოლ – რომელი იყო საქართველოს პირველი მეფე?

პარმენ – ფარნაოზ I. კარგი მეფეც იყო, - ალექსანდრე მაკედონელს ებრძოდა.

გრიგოლ – ვგონებ, მცხეთაში უნდა ყოფილიყოს უწინდელს დროსა ძველი ხიდი?

პარმენ – დიახ. რომის სარდალმა პომპეიმ გააკეთა და უწოდა თავის სახელობაზედ პომპეის ხიდი.

გრიგოლ – თქვენმა მზემ, პარმენ, როგორც მე ეხლა მცხეთის მდებარეობას ვუცქერ, მშვენიერი სანახავი ქალაქი იქნებოდა. შენობა იქნებოდა ძველს ჩვეულებაზედ, კლდისაგანა, გარეშემო მაღალის მთებით შემორტყმული, აღმოსავლეთით მდინარე არაგვი და სამხრეთით მტკვარი.

პარმენ – ძალიან საუცხოო ყოფილა, მაგრამ მაშინ უფრო დამშვენებულა ქალაქი – როგორც ისტორია აჩენს – როდესაც ვახტანგ გორგასლანს მცხეთის ეკლესია აღეშენებია.

გოგია – (ამათს ლაპარაკში თან სჭამს და თან გაშტერებით უცქერის, მერე უეცრათ ლუკმის ჩადებაზედ ძირს დაახეთქებს ჩანგალსა და ჩასცემს წიხლსა). ოხრათ დარჩი შენცა და შენი მომგონიცა(ყმუის) ოხ, ოხ...(ყველანი წამოცვივდებიან)

გოროდნიჩი – რა იყო ბიძახემო?

გოგია – ოხრობა და ტიელობა! რაღა რა იყო, ვეჟო, ტუჩი გამიხეთქა ამ ტიელმა ჩანგალმა (ყველანი იცინიან და გოგია უკმაყოფილოთ) გაიცინეთ, გაიცინეთ, ძალიან სასაცილოა, სიბერის დროს ტუჩი გავიფუჭე.

პარმენ – ბატონო, თქვენ ჩვენ რას გვიცქერით, თქვენის ჩვეულებრივ მიირთვით ხელითა.

გოგია – მერე უნდა გახვიდეთ და ქუჩა-ქუჩა იდახოთ, სტარიკ დურაკო? ეს ჩემი ძმისწულიც ხომ ცხვირს გამიხვრეტდა საყვედურითა, განათლებულს კაცებთან შემარცხვინეო.

პარმენ – არა კნიაზო, თქვენ მოხუცებული ხართ, მოგეტყვებათ.

გრიგოლ – პარმენ, მე ძალიან მომწონს გორის მდებარეობა, (მივა ფანჯარასთან და გააღებს) აი, აქედან კარგათა სჩანს. მე მინდა გარდავხატო. პოჟოლუსტა, საცა საჭირო იყოს, თქვენ ისტორიის მოწმობა მომეცით.

პარმენ – ბატონი ბრძანდებით!

გრიგოლ - (გოროდნიჩს) უბრძანეთ, სტოლი დასდგან ფანჯარასთანა.

გოროდნიჩი – ბატონი ბრძანდებით, შენი ჭირიმე! (გასძახებს) ბიჭო, შემოდი, მეორე სტოლი დასდგი ფანჯარასთანა (ბიჭი შემოვა და აასრულებს)

გრიგოლ – (გაშლის ზედ ქაღალდებსა და კარანდაშით დაუწყებს წერასა და ხატვას) ქალაქი გორი მდებარეობს საშუალო ქართლისა.

პარმენ – ტფილისიდან 87 –ს ვერსზედ.

გრიგოლ – საშუალო ქალაქისა არის ბუნებითად ამოსული დიდი კლდე, სიგრძით იქნება უმეტეს ვერსისა და სიგანით უმეტეს ასი საუენი. ამ კლდეზედ არის აშენებული მაგარი ქვიტკირის ციხე, დასავლეთის მხარესა აქვს რამტელმე გვირაბები, ჩატანილი წყლისპირამდე.

პარმენ – ეს ციხე იყო უწინდელ დროში შეუვალი, ვიდრე თოფით და ზარბაზნით სროლა გაჩნდებოდა.

გოგია - (დახედავს და იქით) მართლა რა კარგათა ხატავს! ეგება ჩემი შვილიშვილისათვის დავახატვინო რამე.

გრიგოლ – სამხრეთის მხარესა აქვს დიდი კარი, კიბით ასავალი და კარისაგან მოშორებით ეკლესია.

გოგია – (ჯიბიდან ქაღალდს ამოიღებს და ლაპარაკს გააწყვეტინებს) მამაშენი ნუ წავიწყდება, ჩემი შვილიშვილის სათამაშოთ ემაზედ პატარა დათვის ბელი დამიხატე.

გრიგოლ – Что за чудной старик (იცინიან ყველანი)

გოროდნიჩი – (იქით) ბიძაჩემო, რას ჩადიხართ? სირცხვილია, აბა რასა სთხოვ?

გოგია - (უკმაყოფილოთ) ეჰ, კარგი ერთი, მამაშენი ნუ წავიწყდება, თქვენში აღარც ბავშვის სიყვარულია და აღარც მოხუცებულისა.

გრიგოლ – ჩრდილოეთით მოერთვის მდინარე წყალი, რომელიც ციხეს ჩამოუდის დასავლეთის მხარესა.

გოგია – ფშანი.

გოროდნიჩი - (იქით) ბიძაჩემო, რა შენი საქმეა, მაგათ დააცადე.

გოგია – ახირებუღია, თქვენმა მზემა, ფრონესაც წყალი ჰქვიან, აბა სად ჩამოდის აქა?

პარმენ – ირგვლივ ციხისა არის შემორტყმული ქალაქი, საშუაღ ქალაქისა არის საერთო ბაზარი.

გრიგოლ – გორი უმაღლესობს ტფილისზედა ანგლის ფუტითა...

გოგია – (უეცრად გაიცინებს) ხა... ხა... ხა... რაო? ფუთითა? უეჭველად თავლათრაზით ასწონიღით!(ყველანი იცინიან და ყურს არ უღღებენ)

გრიგოლ – სამხრეთით მოერთვის მღინარე მტკვარი.

პარმენ – რომლისათვისაც პლინისი სწერს: კასპიის ზღვიდან სურამამღისინ მტკვარში ნავებით მოჰქონღათ ვაჭართა ჩინეთისა და სპარსეთის სავაჭრონი, სურამიღგან შორაპნამღინ გარღაჰქონღათ ხმელეთითა და იქიღგან კიღვე ნავებით მოჰქონღათ შავს ზღვაშიაო.

გოგია – (უეცრად იქით გაიცინებს) ხა... ხა... ხა... თქვენი ცოდვა მქონღეს, თუ ამათ მთელი ჭკუა ჰქონღესთ.

გრიგოლ – კნიაზო, რას იცინით?

გოგია – ბატონო, როგორ არ გავიცინო, მამათქვენი ნუ წავიწყღება, აბა ეს რა ბრძანა ამ ბატონმა! რა დასაჯერია, თქვენი ჭიმიე, ჯერ ზაფხუღის წყალში გორიღგან ტფიღისში ტივი რას წვალებით ჩაგვაქვს, რო რამტელს აღაღს დაგვირიყავს ხომე, და ეგ როგორ შეიღღება, რომ კასპიის ზღვიღგან სურამამღისინ ნავებით ფარჩები ამოიღბანონ.

პარმენ – ჩვენ ისტორიკს ვერ გავამტყუნებთ: რაც დაუწერია, ის უნდა დავიჯეროთ (უკმაყოფიღლოთ) მამაშვიღლობას, კნიაზო, ნუ აგვრევე, ჩვენ ჩვენი ვიცით.

გოგია – მე რაზედ აგრევეთ, ვეყო (მოშორღება და იქით) ზედ არ გეტყობათ, რომ არეუღლებიცა ხართ და გაღარეუღლებიცა (ივანეს) ბიჭო, წადი ერთი ჩემი შეიღღების გამზღელი შემომიგზავნე, ამათთვის შევაღლოცვინო.

ივანე – ბატონი ბძანდებით (გავა).

გრიგოლ – მტკვარს გაღმა მთა.

პარმენ – გორის ჯვრისა და ბურეთისა.

გრიგოლ – Назначу под лит. А. აღმოსავლეთით მთა.

პარმენ – კვერნაკისა.

გრიგოლ – Назначу под лит. Б. ჩრდილოეთით ჭალა.

პარმენ – კარალეთისა.

გრიგოლ – Назначу под лит. В.

#### გამოსვლა მეოთხე

ნენე - (შემოდის ფეხმოპარვითა და გოგიას ჩუმათ) რას მიბრძანებ ბატონო?

გოგია – (სიცილით) გამზდელო, ახლო მოდი, ახლო! (მივა) ეს საწყლები (ახვენებს ლიტერატორებზედ) თეძმის ხეობაზედ ყოფილან, მგონია იქ რაღაცა სცემიათ და შეშინებულან, სულ გადაკვრითა ლაპარაკობენ. ყური დაუგდე: ერთს რომ ქართულათ იტყვიან, მერე რაღასაც სხვას აურევენ ხოლმე.

ნენე - მართლა შენი ჭიიმე? აბა ყური დაუგდოთ.

გრიგოლ – დასავლით მხარესვე ფშანს გაღმა მოერთვის ლიახვი.

პარმენ – Назначу под лит. Ф.

გრიგოლ – Назначу под лит. Х.

გოგია – აი... აი... გაიგონე? როგორ გადასცეს სიტყვა. აი სულ ასე იძახიან: ბე, ცე, ხე...

ნენე - (მუხლებზედ ხელს დაიკრავს) უი, დამიდგა თვალი, საწყლებს შიშისაგან დამართვიათ და შეშლილან.

გრიგოლ – ქალაქის შენობას გარშემო არტყია ვენახები (ფრანციცულათ) კომ სე უოლი, ლე უარდენ ალ ანტურ (თარგმანი: მშენიერად უხდება გარეშემო ვენახები)

პარმენ – (ფრანციცულად) უი, ილზ ამ ბელის ბოკუ ლა ვილ (თარგმანი: დიას, ძალიან საუცხოოთ აშვენებს ქალაქსა)

ნენე - უი, დამიდგა თვალი, საწყლები, ახლა სულ გადაირივნენ.

გოგია – შენს ცხონებას, უშველე რამე, მადლია. აქედან შეულოცე ჩუმათა, რომ იმათ ვერ გაიგონ, ძალიან შეშინებულები არიან, ეგება უკეთ დახდნენ.

ნენე - (შემოიხსნის სარტყელსა და ზომავს) ჯერ გავზომო და მერე შეულოცავ. თუ დამოკლდა სარტყელი, უეჭველად შეშინებული იქნებიან. აი, თქვენც გახსვავდესთ, ხუთი მტკაველია (შელოცვას დაიწყებს და, სანამ ეს გაათავებს, ისინი ხაზვენ ქაღალდსა და ჩასცქერიან თავიანთს ნახატსა) „შეგილოცავთ თვალისასა, უწინ ჩემი თავისასა“ (მალ-მალ ამოქნარებს და იტყვის შემდეგს შელოცვასა ჩვეულებრივ). ოხ, მოქნარებით ლამის მოგჭკვდე. გავზომო სარტყელი (ზომავს) ოხ, საწყლები რა ძრიელ შეშინებულები ყოფილან, აგერ მტკაველ-ნახევარი დააკლდა (ამოქნარებს და მეორეთ დაიწყებს შელოცვასა) „შეგილოცავთ თვალისასა, უწინ ჩემი თავისასა“. (ამ დროს თვალს შეასწრებს გოროდნიჩი და მოვარდება ჩუმათ). რას ჩადი, შე ქოფაკო, გადი გარეთ, დაიკარგე! (გააგდებს)

გოგია – (იქით) დეე, ვეჟო, შეულოცოს, რა გინდა, მადლია, შეშინებულები არიან, სიტყვას ურევენ.

გოროდნიჩი – ბიძაშვილობასა, ცოტას ხანს მოშორდი და მეორეს ოთახში შედი. რა გინდა ჩემგანა, ამათთან თავს ხომ ვერ მამჭრი. კაცები ფილოსოფაები არიან და მასარგებლები საქართველოსი, შენ იძახი, შემცდარანო. აბა, რა გელაპარაკო შენა?

გოგია – ფილოსოფაები? ზედაც ეტყობათ მაგათ ლაპარაკსა. მე კი მოგშორდები, მაგრამ თავის მოჭრას მაშინ ნახავ, როცა ეგენი შენს სახლში სრულათ დაგიჟდებიან.(გავა ბუტბუტითა)

გრიგოლ – გავათავეთ გორის ხატვა. დრო არის უფლისციხეში წასვლისა (ფრანციცულად) კი ჟო უაია პლუ ვიტ სეტ დელისიოს ფამ, ლა დეეს დე მონ კერ, პურ ფერ სონ პორტრე (თარგმანი: მალე ვნახო მშვენიერი ქალი, ჩემი გულის ბოდინია, და გადავხატო)

პარმენ – ვგონებ, ახლოს გახლავსო. აქედან სულ იქნება 5 ან 6 ვერსტი. ეხლა აქ ბიჭი გახლდათ, ზასედატელს კიდევ გაუგზავნია იასაული თქვენთვის სახლების დასამზადებლათა.

პარმენ – მართლა? (გრიგოლს) კნიაზო, წავიდეთ, დღესვე მოვასწრობთ ქალის დახატვასაცა და უფლისციხისაცა.

გრიგოლ – წავიდეთ, მაგრამ უფლისციხიდან კი ტივით უნდა ჩავიდეთ ტფილისში. მე ძალიან მამწონს ტივით სიარული წყალში და სასიამოვნოც არის.

პარმენ – რას ბრძანებ, კნიაზო, როგორ შემიძლიან ტივით წამოსვლა, ჩემს დღეში კოჭამდინ წყალში არ გამიტოპნია.

გრიგოლ – ნუ გეშინიან, მე კარგი ცურვა ვიცი. თუ გაჭირდება, მე გიშველი. ეხლა არაფერი საშიშარია, წყალი პატარაა.

პარმენ – ტივით წასვლას თავი დაანებე, მამათქვენი ნუ წავიწყდებათ, თორემ საკამედიოთ დაგვხდიან. რას იტყვიან, ლიტერატორები ტივით წავიდნენ ქალაქშია.

გრიგოლ – ლიტერატორებს არა ეძრახვისთ რა, იმათს ყოველს მოქმედებას განათლებას მიაწერენ. ახ, ნეტავი არ იქნება, მართლა კამედიოთ გაგვაკეთონ? შენმა მზემ, საუცხოო იქნება.



პარმენ – აი, მე ხომ მომიხსენებია და ნახავთ, თუ ისე არ გვიყონ. წავიდეთ, შენი ნებაა, მეც თანახმა გაგიხდები (გამოეთხოვებიან გოროდნიჩს) მადლობელი გახლავართ პატივისცემისთვის.

გოროდნიჩი – არაფერს, თქვენი ჭირიმე, მე გახლავართ მადლობელი, რომ გამაბედნიერეთ და ჩემსას მობრძანდით.

გრიგოლ და პარმენ – (ერთათ) მშვიდობით კნიაზო!(ხელს ჩამოართმევენ)

გოროდნიჩი – მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თქვენი ჭირიმე! (გადიან ყველანი და ფარდა ეშვება)

### მოქმედება მეორე

(სცენა წარმოადგენს მარჯვნივ უფლისციხის გამოქვაბულებსა, უკან მტკვარსა, მტკვარს უკან და მარცხნივ ჭალასა, გამოქვაბულების წინ არის ყრილობა უფლისციხის გლეხებისა)

### გამსვლა პირველი

მამასახლისი – გზირო, ხვალ ყველანი შეჰყარე, რომ თოჯის გასაწერათ ავარჩევინო ვინმე.

გზირი – ბატონი ხარ, მაგრამ რა შეჰყარო, კი არავინ მოგვაცალა და! ხან ვინ მორბის ამ კლდეების სანახავათა და ხან ვინა. არ ვიცი, თუ რა დაჰკარგვიათ იმაში.

ბერუა – ოჰ, თუ აგრე.

მამასახლისი – მართლა, ამ კვირაში აღარავინ მოსულა. მიკვირს, ერთი კვირე თავისუფლათ გაგვატარებინეს.

გზირი – როგორ არა, ერთი ვიღაც მოვიდა წუხელისა, მაგრამ ისევ კი წავიდა.

ბერუა – არა, ვეჟო, იმას სხვა საქმე ჰქონდა, რათ უნდოდა კლდეების ნახვა.

გზირი – (დაინახავს მომავალს იასაულს) აი, ბატონო, არიქა, კიდევ გაჩნდა ვინმე, თქვენი ცოდო არა მაქვს, იასაული მორბის. ე... უთუოთ მოდიან ვინმე.

გამოსვლა მეორე

იგინივე და იასაული

იასაული - (შემოირბენს მარცხნივ ცხენითა) ჩქარა, სადილი მოამზადე, მაღე, ბზე და ქერიცა!

მამასახლისი – რა ამბავია? კიდევ გაჩნდნ ვინმე?

იასაული – ჩქარა, მხატვრები მოდიან აქა, უფლისციხე უნდა დახატონ.

მამასახლისი – ჯერაც არავინ მოხეტებულა უფლისციხის ჯოჯოების დასაწერათა. ნეტავი მითხრა, რას თავში იწყებენ?

იასაული – ეგ ჩვენი საქმე არ არის, რაც გვიბრძანონ, უნდა ავასრულოთ. ჩქარა, რაც გითხარ!

მამასახლისი – გზირო, წადი და ჯერით ყველას გამოართვი: ზოგს ქათამი, ზოგს ღვინო და პური და აგრეთვე ბზე და ქერი.

გზირი – ბატონი ხარ (გავა)

მამასახლისი – ბატონო იასაულო, ვინ არიან ე მხატვრები?

იასაული – ერთი მგონია პომპოლიკია და მეორე ღეანარალიო. რა ვიცი, დიანბეგმა კი ისე მიბრძანა და. ყელზე ასეთი დიდი ჯვრები აყრიათ, წორეთ ნაფოტების ტოლა.

მამასახლისი – ე... ე... მაშ, ეტყობა ძრიენ დიდი კაცები ყოფილან.

ბერუა – დიდი როგორ არ არიან, მამასახლისო, იმ დღეს ახალქალაქში ვნახე, იქაც ხატამდნენ. ერთი ასეთი მაღალია, რომ კაცი თვალს ძლივს შეუწევდნს.

იასაული – მამასახლისო, აბა, ეს ცხენი წაიყვანონ და მეც ხელათ ზაკუშკა მამიტანონ.

მამასახლისი – ბატონი ბრძანდები. ნინიკო, გაიყვა ე. ცხენი და ზაკუშკა და არაყი მოართვი.

ნინიკა – ბატონი ხარ (გამოართმევს ცხენსა, გავა და გაიყვანს).

გამოსვლა მესამე

ივინივე, გზირი და თინათინა

გზირი - (შემოდის ყვირილითა და შემოჰყავს ქათამი) ბჭო, მოდუ იქითა მეთქი, შე ოჯახდაქცეულო.

თინათინა - (მოსდევს წივილ-კივილითა) ოჯახიც დაგექცეს და ცოლ-შვილიც ამოგიწყდეს ჩემი ცოდვითა.

მამასახლისი – რათაო, ე... რას ენართლები?

თინათინა – როგორ არ ვემართლები... თვალები დაგიდგეს შენცა და მაგასაცა, რო ვერა დაინახო რა! ჩემის მეტი ვეღარავინა ნახეთ უფლისციხეში, რომ მაშინვე ჩემკენ მოუსისინებთ ხომე. გაწყდეს თქვენი მოხელეობა, რომ თქვენის შიშით კრუხ-წიწილა ვერ შემინახავს სახლშია.

მამასახლისი – აცა, დაიცა, თინათინავ და! ვის გამოვართვა, მაშ, რო აგრე ცხარობ? გოგილაანთთვინ წრეულ აგერ მეათეთ გამამირთმევია, შვილოსა, ახლა შენი რიგია და შენ უნდა მისცე.

თინათინა – ჩემი რიგი საიდან არი, შე ამოსაწყვეტიშვილო, წინაზედ არ წამოიყვანე ქათამი!

მამასახლისი – ჩუ... შ... როდინობის კვირაშია? მერე ის ერთი ქათამი გეყო ბეგართა? ვერა ნახე, რომ მაშინ სხვები იყვნენ და იმათ მივართვი!

თინათინა – იმტელი აქოფაკდი და აძაღლდი, რამტელი იმათ, ერთი ვარიაც არ შეექამოთ და შენ შვიდიც მოაგროვე. ტყუილათ იმათ იგონებ და შენ ცოლ-შვილს კი ხეთქამ. შხამათ ამოუვიდეთ და ბრაზათა პირიდგანა! მერე იმ მხატვარს რო ატამე, სამი მანეთი რო გაჩუქა, ის რაღა იყო? იმიტომ არ მოგცა,

რო სადელი აჭამე? მეც მამცემდი ჩემი ქათმის ფელსა და! ყველანი ისე გაძღვევენ ხომე ფულსა და შენ კი შენ ჯიბეში იდებ. აი, ჩემი კაბით დაჯდეს შენი ცოლი, რომ ის ფული შავში მოეხმარებინოს!

მამასახლისი – შენ ეი, თინათინა, თინათინა, თავ პატივი დაიდე, თორემ მე ვიცი შენი...

თინათინა – შენი სინათლის დაბრმავებამა, ნაფუზრის თავები არ ჩამიჭრა(მივარდება გზირსა) მამეცი ე ქათამი აქა-მეთქი!

გზირი – უ... ამა დახე, რა ჰჩადის! ე... მოდე იქითა-მეთქი, შე ოჯადაცეულო!..

თინათინა - (ეწვევა) მამე ე ქათამი-მეთქი, შა გაბდღენილის შვილო!..

მამასახლისი – შენ ეი, თინათინავ, მგონია, შენ როგორღაც მოგდგომია აი...

თინათინა – შენი ცოლის გაშავებამა, აბა, მობძანდი!(ეწვევა გზირსა) მამეცი მეთქი ე ქათამი, შა ამოსაწყვეტის შვილო, თორამ არ ვიცი, რას გიზამ!

მამასახლისი – შენ ეი, ჩემ ცოლ ნუ ახსენებ, თორემ მე ვიცი შენი!..

თინათინა – თვალი შენც დაგიდგა და იმასაცა!(მივარდება გზირსა) შენ არ გესმის, მამეცი ქათამი-მეთქი, შა ქოფაკო!..(წაუშენს თავსა და პირში. შემოეხვევიან ყველანი, შეიქნება წივილ-კივილი, თინათინა მოიტაცებს ქათამსა, გზირს დაარტყავს თავში ქათამსა, მერე თან გაიყვანს და გაგარდება).

გზირი – დახე ოჯახდაქცეულსა, რა ქნა ე!..

იასაული - (შემდეგ სიცილისა) აი, შეგარცხვინათ ღმერთმა მამასახლისიცა და გზირიცა, ერთმა დედაკაცმა როგორ დაგძალათ.

გზირი – ე... შე დალოცვილო, მე შენი იმედით ვიყავ და შენ ხმაც არ ამოიდე.

იასაული – რა ხმა უნდა ამომელო? რა მამაგონებდა, თუ მაგოდენა ვირებს ერთი დედაკაცი მოგეროდათ.

მამასახლისი – ე... შენ ეი, დაგლოცა ღმერთმა! არ გაგიგონია: დედაკაცმა თუ გაიწია და ცხრა უღელმა ხარმა ვერ დაიმაგრაო.

გამოსვლა მეოთხე

იგინივე და ნინიკა

ნინიკა - (შემოიტანს ხონჩით ზაკუსაკასა და არაყსა) აბა, მიირთვით იასაულო!

იასაული – (დაჯდება) აბა, მამასახლისო, დასხედით! (დაჯდება მამასახლისი, გზირი გვერდით მოუჯდება და ის ასხავს არაყსა, სხვა გლეხები ერთმანეთში აირევიან და თავიანთთვის ლაპარაკობენ).

გზირი – (მისცემს ყანწით არაყსა) მიირთვი იასაულო!

იასაული – დიდება ღმერთსა! ღმერთო შენ გაუმარჯვე ბატონ ჩვენ დიამბეგსა, მამასახლისსა და აქა მბრძანებელსა(სვავს)

მამასახლისი – ღმერთმა გადექელოს.

იასაული – (მოიხსნის ყანწს პირიდგანა). ოხ, მამასახლისო, ეს რა ხრაკიანი არაყია?

მამასახლისი – ე... შენ კი დაგლოცა ღმერთმა, ვინ მამცა აქ, უფლისციხეში, ქალაქური პირტი.

გზირი – (დაუსხავს და მისცემს ყანწით არაყსა). დალიე, მამასახლისო!

იასაული – ვაი, რო მე ტკბილი კაცი ვარ და სხვა იასაულებივით არა ვარ, თორე, თუ ოთხიოთ სხვილი მათრახი აგაყვანინე მაგ ზურგში, მაღე გაშოვინებ მე შენ პირტსა.

მამასახლისი – ჰო და, ტკბილი რო ხარ, აკი დიამბეგსაც იმიტომ უყვარხარ. ღმერთმა გადექელოს, იასაულო(რო დაღევეს, ყანწს გზირს მისცემს).

იასაული – ღმერთმა გაგიმარჯოს! უყვარვარო? მოდი და ნუ ვეყვარები: თუ მე არა ვყვანდე, ვერაფერს ვერას გაარიგებს ისა.

გზირი – (დაინახავს და დაღევს) ღმერთმა გადექელოთ.

მამასახლისი – აბა, უშენოთ რას გაარიგებს. შენა, წორეთ, მარჯვენა თვალი ხარ იმისი.

გზირი – (ყანწს პირიდგან მოიხსნის) აი, თვალი გამოვარდა იმასა, შენ კი ნუ გეწყინება, იასაულო, იმან რო იმ დღეს სილა მაჭამა, ეხლაც ისევ თაბრუ მესვევა (დაუსხავს არაყსა და მისცემა). დალიე, იასაულო!

ბერუა – მამასახლისო, აი ვილაც მოჩანან. მგონია, ის მხატვრები იყვნენ.

იასაული – აბა? (გაიხედავს) წორეთ ისინი არიან, ფეხი მოსტეხოდეთ მაგათა, თუ ამ საღვინის დაცლა დაეცლიათ(გადაჰკრავს ჩქარა ყანწითა და ყანწს ხონჩაზედ დაუგდებს). გაიტა ჩქარა, გზირო, არ მოგვასწრონ.

გზირი – (აიღებს ხონჩას ხელში და საღვინე ხელში უჭირავს). მაგ ოჯახდაცეულებს რა ენაღვლებოდათ, ვეუო, პატარა შეეგვიანებინათ, რა გულით მინდოდა ამ არყის სმა(იწაფებს საღვინესა, გააქვს ხონჩა და ისევ შემოვა).

იასაული – რომ მობძანდენ, გზირო, შენ ცხენები ჩამოართვი, (გლეხებს) თქვენც უშველეთ და გაასხით. გზირო, შენ ისევ აქ შემოდი.

გზირი – მაშ, სად წავალ, შენი ჭიიმე.

გამოსვლა მესუთე

იგინივე პარმენ და გრიგოლ

(შემოვლენ სცენაზედ ცხენებითა და ორივე ერთათ) გამარჯვება თქვენი!

გლეხები - (ერთის ხმით) ღმერთმა გადექელოთ, თქვენი ჭიიმე(ქუდებს დაიხდიან. გადმოხტებიან ისინი ცხენიდგანა, გზირი და ერთი გლეხი ჩამოართმევენ ცხენებსა, გაიყვანენ და თითონ ისევ შემოვლენ).

პარმენ – მამასახლისო!

მამასახლისი – ბატონო, შენი ჭიიმე?

პარმენ – აქ თქვენში ბევრი მტრედი და გვრიტები იშობა?

მამასახლისი – ეგენი კი არა, შენი ჭიიმე, და ხვლიკი და ჯოჯო კი ბევრი იშობა (ორივე იცინიან და მერე)

პარმენ – აი, შეგარცხვინოს ღმერთმა შენცა და შენი მასპინძლობაცა!

მამასახლისი – რა ვქნა, შენი ჭიიმე, თქვენთან ხომ ტყუილს ვერ გავბედავ, რაც გახლავს, ის მოგახსენე.

გრიგოლ – ქუდები დაიხურეთ, ძმანო, ქუდმოხდილი ნუ დგეხართ.

მამასახლისი – გმადლობთ, შენი ჭიიმე(ყველანი დაიხურავენ ქუდებსა).

ბერუა - (იქით ნინიკას) ჰე, დაელოცათ გამჩენი, ამათ კი არ აყრიათ ყელზე ლალის ჯვრები!

ნინიკა – (იქით) ბერო, ნეტავი ერთ-ერთიც არის, ჩემი ქნა.

ბერუა – მერე რას თავში მიიწყვეტ, შე რას გამოიყენებ? წიგნი უნდა იცოდე, რო მაშინ გამოგადგება.

ნინიკა – წიგნი, შენმა აშენებამა! ახლა იმას ჩავაჩერჩეტებ თვალებსა. გაეყიდდი შეილოსა, და იმ ფულით ერთი ურმის კაი ხარ-კამბეხს ვიყიდდი და ჩემთვის კარგი იქნებოდა.

ბერუა – ჰო, ეგეც კარგი მოგონებაა.

პარმენ – მამასახლისო, აბა გამოქვაბულები რომელია?(აჩვენებს) ესენია?

მამასახლისი – დიახ, ეგ გახლავს შენი ჭიიმე.

გრიგოლ – Удивительные пещеры, პარმენ, ავიდეთ აბა, დავიაროთ(ავლენ, შიგ დადიან და ათვალიერებენ).

მამასახლისი – აბა, ი ქათამი რო იმ ოჯახდაქცეულმა დედაკაცმა მოიტაცა, ეხლა სადილი რო მოითხოვონ, რა მივართვა?

იასაული – არა, ეგენი არას მოითხოვენ, ეხლავ დახატვენ და წავლენ. ტივი ემანდ დავაბმევენ, იმითი მიდიან ქალაქში.

ბერუა – ეი, მა ოჯადაცეულებსა და, მერე წყალში დარჩობისა არ ეშინიანო?

ნინიკა – შვილო, დიდ კაცსა ვერცარა წყალი მოერევა და ვერცარა მიწა.

გზირი – (იასაულს) მაშ, ვისთვის გინდოდა ი ქათამი, რო დედაკაცს ისე გამაღანძვინე?

იასაული – შენ გიჟი ხომ არა ხარ? შენ ნუ მომიკვდები, ქათმის ხორცი მე კი ყელზე დამადგება.

გზირი – არა, მეც ვიცი, კი არ დავადგება.

იასაული – სუ, კარგი, ნუ ყბედობ! აგერა ისინი მობძანდებიან(ჩამოდიან).

გრიგოლ – თქვენ ნუ მომიკვდებით, საუცხოო სანახავები ყოფილა.

პარმენ – აკი მოგახსენე, მე სხვისგან გამეგონა, საუცხოო სანახავები არისო და მართლათ კარგი ყოფილა.

გრიგოლ – მამასახლისო, აქ ერთი მშვენიერი ქალი მოსულა ამ გამოქვაბულების სანახავათა, სად არის ჩამომხტარი?

მამასახლისი – მშვენიერი, შენი ჭიიმე? გზირო, აქ ვისას არის ჩამომხტარი?

გზირი – მშვენიერი?.. ბერო, რომელია მშვენიერი?

ბერუა – მშვენიერი?

პარმენ – ჰო, მშვენიერი, არ გესმით?

ბერუა – მამასახლისო, ესენი უთუოთ იმასა ბძანებენ... უ... რა ჰქვიან?... აი, ჩვენი ემიანთი... ბჭო ე... შენ მაინც მომაგონე!... ტეტიკაანთ ქალსა, მშვენიერი იმასა ჰქვიან. ის ეხლა აქ როდი გახლამთ, შენი ჭიიმე, ერთაწმინდას გახლამთ სალოცავათა.



გრიგოლ – Что за безтолковый народ!

პარმენ – რას მიჰქარავ შე ბრიყვო, რის ტეტიკაანთი! მშვენიერი ლამაზს ქალსა ჰქვიან.

ბერუა – ჰო და, ისიც ლამაზი გახლამთ, შენი ჭიიმე. ასეთი წარბები აქს, წორეთ თითის სიპტყე. ღვთიწინაშე, ცოტა კბილები კი დიდრონი აქს.

პარმენ – Что за дурак такой! მამასახლისო, შენ ქართული გაიგონე? აქ ერთი ლამაზი ქალი მოსულა, ამ გამოქვაბულების სანახავათა, თავადის ქვრივია, ვისას არის ის ჩამომხტარი?

მამასახლისი – ჰო, ეგრე გებძანებინა წელანვე, შენი ჭიიმე! მერე რათ გინდა ისა?

პარმენ – дурак ты! შენ ვინ გკითხავს, რისთვისაც გვინდა? ვისას არის ის ჩამომხტარი, გვითხარ!

გრიგოლ - Что за глупые мужчины! ლამის გადაგვრიონ შენ რასაც გკითხავთ, იმისი პასუხი მოგვეცი.

მამასახლისი – მოგახსენებთ, თქვენი ჭიიმე: ის აქ გახლავთ ჩამომხტარი, თქვენზედ წინ ის გიახლათ გამოქვაბულების სანახავათა და მერე იქით ბაღებში წაბძანდა სასეროთა.

გრიგოლ – იქიდგან ხომ სხვა გზით არსად წავა?

მამასახლისი – არა, შენი ჭიიმე, ამის მეტი გზა არ გახლამთ, ისევ აქეთ ჩამოივლის.

გრიგოლ – შენ ნახე, ლამაზი ქალია?

მამასახლისი – ლამაზი როგორ არ არის, შენი ჭიიმე, წორეთ მზეჭკერიტასავებ ბრჭყვიანლებდა და გაბადრულიყო.

გრიგოლ – ოხ, ახლა კი ველირსე ჩემ სურვილსა რაკი მართლა ლამაზი ყოფილა, გადავხატავ, ოხ, საშინელი სურვილი მაქვს ლამაზის ქალებისა. მამასახლისო, ახლო ნახე, ძალიან ლამაზია?

მამასახლისი – ძალიან ღამაზია შენი ჭიიმე. ჩემ ცოლს ისა სჯობია და ჩემ რძალსა (იცინიან ორნივე).

გრიგოლ – პარმენ, სანამ ის ჩამოივლიდეს, მანამ ჩვენ ეს გამოქვაბულები გადავხატოთ და როცა ჩამოივლის, ვსთხოვოთ იმ ქალსა, პორტრეტი გადაგვახატინოს.

პარმენ – ძალიან კარგი იქნება. თქვენ ხატვა დაიწყეთ და მე ისტორიით შეგიმოწმებთ.

გრიგოლ – სტოლი რომ არა გვაქვს, რაზედ დავხატოთ?

პარმენ – მე გიშოვნით ვოენურს სტოლსა, მამასახლისო, მოიყვა აქ ორი გლეხი.

მამასახლისი – ბატონი ბძანდები, შენი ჭიიმე, (წამოიყვანს ბერუასა და ნინიკასა)

პარმენ – გლეხებო, წაიკუზენით და ერთმა მე მომიშვირეთ ზურგი და მეორემ მაგასა (აჩვენებს გრიგოლზედ).

ბერუა – ნუ ინებებთ, შენი ჭიიმე ჩვენს დალახვასა... იცის ღმერთმა, არაფერი არა დაგვიშაგებია რა.

პარმენ – რას გაგიუბულხარ კაცო, ვინა გცემთ?

ბერუა – მაშ, ზურგის მოშვერა რათ გინდათ შენი ჭიიმე? უთუოთ რუსულათ უნდა დაგვლახოთ?

გრიგოლ - Что за глупый народ! (ორნივე იცინიან)

პარმენ – ნუ ხართ ბრიყვები; დრო არის, მოხვიდეთ გონზედა. თქვენი ზურგები სტოლის მაგივრათ გვინდა, ზედ ქალაღდებს დაგაწყობთ და გამოქვაბულებს გადმოვხატავთ.

ბერუა – ჰო, ახლა კი მივხვდი, ბატონი ბძანდები შენი ჭიიმე. (მიუშვერენ ორივე ზურგებსა და ბერუა იქით) ამ დროსაც მოვესწარ, რო გამხმარი ხის ტოლის მაგივრათ მე მაყენებენ.

პარმენ – აბა, დავიწყეთ (დააწყობენ ზურგზედ ქაღალდებსა, მოჰყვებიან ხატვასა და წერასა).

გრიგოლ - სოფელი უფლისციხე მდებარეობს გორიდგან ექვს ვერსზედ.

პარმენ – რომელიცა აღაშენა ქალაქად უფლოს ძემან ქართლოსისამან და იყო ქალაქი ვიდრე ჩინგის ხანამდე.

გრიგოლ - აღმოსავლეთის მხარეს კვერნაკის გადმოკიდებულს კლდის გორაზედ არის გამოქვაბულები.

პარმენ – ძველის გმირულის ჩვეულებითა.

გრიგოლ - საშუალ გამოქვაბულებისა არის დიდი პალატი.

პარმენ – რომელსაცა აქვს სვეტებიანი ჰაივანი ერთისავე კლდისაგანა.

გრიგოლ - შუა ლამფა მონახშული ძველს ჩვეულებაზედა.

პარმენ – ბულაურები სვეტებისა ერთისავე კლდისაგან, მშვენიერად მონახშული.

გრიგოლ - სიგრძე პალატისა... გაზომე, მამასახლისო! (მისცემს არშინსა).

პარმენ – და სიგანე... გაზომე, გზირო! (მისცემს ესეც არშინსა).

მამასახლისი – ბატონი ბრძანდებით, თქვენი ჭირიმე (ავლენ გამოქვაბულებში და ზომენ: მამასახლისი სიგანესა და გზირი სიგრძესა).

გრიგოლ – მამასახლისო, შენ ვითხარ სიგრძის გაზომა და არა განისა!

პარმენ – გზირო, შენ ვიბძანე განის გაზომვა და არა სიგრძისა!

მამასახლისი და გზირი – ასე თქვანი ჩიიმე? (ზომენ კედლის სიმაღლესა!)

გრიგოლ – Что за безтолковый народ!

პარმენ – რა უგუნურები ხართ, თქვე უბედურებო!

მამასახლისი და გზირი – მაშ ასე თქვენი ჭიიმე (ირიბათ ზომავენ).

პარმენ – ბრიყვებო! ვირებო! დათვებო! რა ღმერთი გიწყრებათ, რომ სიგძე და სიგანე ვერ შეიგენით?

მამასახლისი – რა ვქნათ, შენი ჭიიმე, თუ ბრიყვები არ ვიყვით, ხომ ჩვენც თქვენსავით ყელზე პოლტივით ჯვრები გვექნება (გრიგოლ და პარმენ იცინიან).

პარმენ – აი, ასე, ძმანო: მამასახლისო, შენ აიმ კედლის ძირზე დადექი და, გზირო, შენ უკან კედლის ძირზე.

მამასახლისი და გზირო – (დადგებიან) ასე, შენი ჭიიმე?

პარმენ – ჰო, აგრე. აბა, ახლა შენ ასე ჩაჰყევ, გზომე და ის ასე გადმოჰყევ და გადმოზომოს (აჩვენებს სიგრძე-სიგანეს)

მამასახლისი – ბატონი ბრძანდები, შენი ჭიიმე(ზომენ)

გრიგოლ – რამტელი იყო?

მამასახლისი – ოცდაშვიდი შაჟანი, შენი ჭიიმე.

გრიგოლ – какой сажан что он толкует? (სწერს) სიგრძით 27 არშინი, ე.ი. 9 საჟენი.

პარმენ – გზირო რამტელი იყო?

გზირო – 15 შაჟენი შენი ჭიიმე.

პარმენ – რის საჟენი ვირო, არშინი-მეთქი(სწერს) და სიგანით 15 არშინი, ე.ი. 5 საჟენი.

ნინიკა – (იქით) ბერო, მოიტა ერთი ე ბუნუთი მომაწევინე.

ბერუა – (ამოიღებს ქისასა და მიაწოდებს) აჰა, მოსწიე და მეც მოვსწევ(ორნივ ამოიღებენ ბურნუთსა და სწევენ)

გრიგოლ – ამ პალატის მოშორებით არის მეორე გამოქვაბული სახლი Назначу под лит. Б

პარმენ – Нет назначите под лит. В.(ამ დროს ორივე გლეხნი ართათ ცხვირს დააცემინებენ და ზურგიდგან ქაღალდები გადმოუცვივათ)

გრიგოლ – (ფრანციცულად) ო, მონ დიო, კელ რუსტრ კ. სე ჟანს ლა (თარგმნ. ოხ, ღმერთო ჩემო, ეს რა ბრიყვი ხალხნი არიან).

პარმენ – ვაი თქვენ და თქვენს თავს, აბა, ეს რა ჰქენით, თქვე დურაკებო, ვირებო, სულ გაგვიფუჭეთ ქაღალდები!

ბერუა – რა ვქნათ, შენი ჭიიმე, დანაშაული გვაქვს, მაგრამ დადრეკამ მეტი ძალა ქნა და უბურნუთოთ ვედარ გაგძელით.

პარმენ – კარგი, ნულარ ყბედობ დურაკო, დადექი ისევ ისე (გლეხები დასდგებიან და ისინი ისევ ზურგზედ დააწყობენ ქაღალდებსა).

გრიგოლ – რა უნდა დაგვესვა?

პარმენ – Литера В.

გრიგოლ – არა В. (ამ დროს გამოჩნდება ქალი)

მამასახლისი – აი შენი ჭიიმე, გიახლებათ ის ქალი.

გრიგოლ – (განცვიფრებით) აბა, სად არის?

მამასახლისი – (დაანახვებს) აი, იგერა მოდის.

გრიგოლ – (ფრანციცულად) ოჰ, კელ ე ბელ, ფამ აღორაბლ, ვიზ ეტ ლა დეეს დე მონ კერ! (თარგმანი: ოხ, რა მშვენიერი ყოფილა! მამაჩემი ნუ წამიწყდება, სულ დამავიწყდა ჩემი ფილოსოფია.

გამოსვლა VI

იგინივე და ქალი

(ტასია ჩამოდის კიბეზედ და უკან მოსდევს გამზრდელი)

გრიგოლ – პარმენ, ჩამოდიან, სალაში მივსცეთ? (ისწორებენ მანუეტებსა, სერთუქსა და იჭიმებიან).

ტასია – გამზდელი, ესენი ვინ უნდა იყვნენ, რომ ასე იჭიმებიან და ჩვენს დახვედრას აპირობენ?

ბარბარე – იქნება ჩვენი მცნაური გახლდნენ ვინმე (ჩამოვლენ კიბიდგანა)

გრიგოლ – უ... უ... მე... ე. არ ძალ... ხმ. (იქით) პარმენ, თქვენ უთხარით რამე, თორემ მე სიტყვა ვერ გამომითქვამს(ფრანციცულათ) ო, მადამ, ვიტრ ვუ მა რეჟუი ღ კერ (თარგმანი: ოხ, ქალო, შენმა ნახვამ გული გამინათლა)

პარმენ – უ... უ... ნე... ნება... ესე იგი, უ... უ... მოგახსენოთ ჩე... (იქით) გრიგოლ, ისევ შენ უთხარ, მე ვერას ვეტყვი(ფრანციცულათ) ელ სე ტანტიურმან ანპარე დე მონ კერ (თარგმანი: ჩემი გული მთლათ მიიზიდა) (ორნივ ერთათ ეჭიმებიან) უ... ნებ... ესე იგი ნება...

ტასია - (გამზრდელს) ქა, რას გაგიუბუღან, ვიდაც ოხრები არიან, გზაში რას მიხვდებიან ნეტა?

პარმენ – კნეინავ, ჩვენ დავგიუბუღვართ?

გრიგოლ – როგორ არ დავგიუბუღებით კნეინავ, მაშინ, როდესაც ჩემი არისტოკრატია...

პარმენ – ჩემი ფილოსოფია...

გრიგოლ – ჩემი სწავლა...

პარმენ – ჩემი რიტორება...

გრიგოლ – ჩემი ხელოვნება...

პარმენ – ჩემი გრძნობა...

გრიგოლ – ჩემი გული...

პარმენ – მიიზიდა.. უ ესე იგი, მიიზიდა... უ... ოხ... არ ძალმიძს გამოთქმა.

გრიგოლ – დიახ, მიიზიდა თქვენმა მშვენიერებამა.

პარმენ – თქვენ ხართ მზე ქვეყნიერი

გრიგოლ – (ფრანციცულათ) ნონ, ლა დეეს დე ლა ბოტე(თარგმანი: არა, ღმერთაა მშვენიერებისა)

ტასია – ბატონებო, ერთი ეს მიბრძანეთ, ვინა ხართ თქვენა? მე შევეკრთი მაგგვარის თქვენის მდგომარეობისაგან.

გრიგოლ – მე გახლავართ პოლკოვნიკი და კავალერი... უ...(ორნივ იჭიმებიან)

ტასია – ეგ ძალიან კარგი, მაგრამ რას თანამდებობის მქონენი?

პარმენ – ორნივ ლიტერატორები... ჩვენ ვხატავთ საქართველოში ყოველს ძველს შენობაებსა ხეობაებში და ვაახლებთ ისტორიით, მაგრამ თქვენმა მშვენიერებამ, ოხ, ყოველი სწავლა დამავიწყა და წრეს გარეთ გამიყვანა. უკაცრაოთ, რომ პირველსავე შემთხვევაში ვერ მოგართვით შესაბამი სალამი.

გრიგოლ – დიახ, უკაცრავათ, რომ პირველსავე შემთხვევაში ვერ მოგართვით შესაბამისი სალამი, მაგრამ მერწმუნეთ, მე არა ვარ მტყუანი ამისათვის, რომ ჩემი გული შეიპყრა თქვენმა მშვენიერებამა და აღარ მცა სიტყვის გამოთქმის ნება.

ტასია – მე მიკვირს, სწავლულნი ხალხნი ბრძანდებით და აგრე უეცრათ გზაში მიხვდებით. უცნობს ქალსა მაშინ, როდესაც იცით თქვენა, რომ საქართველოს ქალი ამ გვარს შემთხვევაში მორიდებული არის.

გრიგოლ – მართალს ბრძანებთ, ჩვენ ვსტყუით.

პარმენ – დიახ, ვსტყუით.

გრიგოლ – მაგრამ მოგახსენეთ მიზეზი ჩვენის ისე შეცთომილებისა.

ტასია – ახლა ეს მიბრძანეთ, რა გნებავსთ თქვენ ჩემგანა?

პარმენ – (ამოღებულად) ოხ, კნენავ, თუ გვინდა რამე, თქვენგანა, თორემ სხვა ვისგანა?

ტასია - მერე რა გნებავს?

პარმენ – რა გნებავს? (გრიგოლს) გრიგოლ მოახსენე!

გრიგოლ – კნენა, მე მოგახსენებ მიზეზს ჩვენის აქ თქვენთან შეხვედრისას, მაგრამ გთხოვთ, ყურადღება იქონიოთ და არ შეგვირისხოთ.

ტასია - ბრძანეთ, რა არის?

გრიგოლ – მე მაქვს საშინელი სურვილი რომ სადაც მშვენიერი რამ ვნახო, თუ ნივთიერება, თუ შენობა, თუ მშვენიერი ქალნი და კაცნი და ანუ სხვა რამე, უეჭველად გადავხატო და დავაბეჭდინო მსგავსი პორტრეტი, რომელიც დარჩება ქვეყანაზედ ნიშნად ნამდვილისა. ამასთანავე ეს ჩვეულებაა მაქვს, რომ თუ რომლისამე მიზეზით ვნახე რამე მშვენიერი და ვერ გადავხატე, მაშინ ჩავარდები ჭლექათა და მოგვკვდები. სხვათა შორის გორის უეზდში ძველთ სანახავებთა შემესმა მე მშვენიერება თქვენი და უმეტეს თქვენთვის წამოვედი ტფილისიდგანა და, რადგანც მითხრეს, რომ თქვენ აქ წამოსულხართ, ამისათვის მეც აქ გაიხელით იმ ჰაზრითა, რომ ინებოთ გარდამახატვინოთ თქვენის მშვენიერების პორტრეტი და მით დაშეთ თქვენ ყოველთვის ცხოველად.

ტასია - რაო? ჩემი პორტრეტი გადაგახატვინოთ? არას გზით, თქვენმა მზემა!

გრიგოლ – კნენა, თქვენმა მზემ, არაფერი საძრახისია.

ტასია - ტყუილათ მომცდარხართ, ბატონებო, მე მაგის აღსრულება არ შემეძლიან.

პარმენ – კნენა რატომა? თქვენ თითონ იცით, რამტელის თავადის ქალების პორტრეტი არის აღებული აქაურის თავადებისა, თორემ ევროპიისას ვიდა იტყვის.

ტასია - ბატონებო, გთხოვთ, ნუ მაწუხებთ, გზა მიბოძეთ, გავიარო! მოგახსენეთ, რომ მე მაგას ვერ ავასრულებ.



გრიგოლ – კნენა, თუ სათხოვარი არ ამისრულეთ, მე მოგჰკვდები.

ბარბარე – (იქით) დიდს დარდს გავსწევ, თუ მოკვდები(იმათა). გზა მოეცით, გაიაროს! მე ბევრი ლაპარაკისა არა ვიცი რა თუ ზდილეები ხართ, რაში გეტყობათ ზდილობა, რომ ქუჩაში გვიხდებით?

პარმენ – (იქით) გრიგოლ, დაეხსენ, ეხლა ნუ შეაწუხებ, თორემ ქართველები უპრიემები არიან, მომეტებულათ ქალები, ამ გვარს საგანზედა. ეხლა გზა მივცეთ, წავიდეს, და მერე სხვა ღონისძიება ვიხმართ.

გრიგოლ - (ქალებს) თქვენი ნებაა, ბატონებო. ინებეთ, წაბძანდით(გზას მისცემენ და ისინი გავლენ მარცხნივ)

პარმენ – მამაჩემი ნუ წამიწყდება, ძალიან მშვენიერია.

გრიგოლ – (ფრანციცულად) ბელ, სნე პა ღმა, ე ღა ღა დევს ღა ბოტე! (თარგმანი – მშვენიერი კი არ არის, მშვენიერთა ღმერთაა). (ორნივ ჰკოცნიან შორიდგან ხელითა) მწა... მწა... მწა...

ბერუა – (იქით) მამასახლისო, რამ დააგიჟათ ეს ამოდენა კაცები ერთი ქალისთვის, თქვენი ჭიიმე. აიპე... აიპე... აიპე...

მამასახლისი – (იქით) დააგიჟათ რა შენ რძალს ხორიშანასა ჰგავდა თუ? ვერა ხედავ, რა ღამაზია! ე მაგათ გუთნი დარდი კი არა აქვთ შენსავითა, ე მაგითანა ქალებ დასდევენ და ისე შეექცევიან.

გრიგოლ – აბა, რა ღონისძიება ვიხმართ იმ ქალის პორტრეტის გარდასახატვაზედა?

პარმენ – აი, რა ვიხმართ... ჩვენ უნდა გამზდელს დაუძახოთ და მოვისყიდოთ. თუ დაიყოლიებს, ისა, თორემ სხვას არავის არ შეუძლიან და არც გადაგვახატვინებს სახესა.

გრიგოლ – ძალიან კარგი იქნება.

პარმენ – მამასახლისო, წადი შენა და გამზღედეს სთხოვე, აქ მოვიდეს; უთხარ, შენთან წიგნი აქვსთ ქალაქიდგან გამოტანებული-თქო, თორემ უიმისოთ არ მოვა. ეცადე, რომ მოიყვანო და შენც დაგასაჩუქრებთ.

მამასახლისი – ბატონი ბძანდები, შენი ჭიიმე.(გავა მარცხნივ)

პარმენ – გლეხნო, თქვენც მოგვშორდით აქედგანა, საქმე გვაქვს.

გზირი – ბატონი ბძანდები, შენი ჭიიმე.(გავა და გაჰყვებიან გლეხები თანა)

გრიგოლ – (ფრანციცულათ) მონ ამ ეტ ანტრ ვო მენ, ვუ დევე ტაშე კელ მ ფას ფერ სონ პორტრე. სანსა უ სვი პერდუ(თარგმანი – პარმენ, ჩემი სული შენს ხელთ არის, უნდა ძრიელ ეცადო, რომ გადამახატვინოს თავისი სახე, თუ არა, მე მოვჰკვდები)

გრიგოლ – (ფრანციცულათვე) ტრე ბიენ (თარგმანი- ბატონი ხარ) მეტი რა ღონეა, უნდა ძრიელ ვეცადო და შევაგონო, თორემ მაგას ერთი რაღაც დიდი შეცოდება ჰგონია თავისი პორტრეტის გადახატვა. ოხ, საქართველოვ, საქართველოვ, ვწუხვარ, რომ შენ არა ხარ დღეს აღსული იმ წერტილზედა, რომელზედაცა სდგას განათლებული ევროპა მაშინ, როდესაც ყოვლად უმოწყალები რუსეთის დერჟავა გაძლევს შენ მაზედ შემთხვევასა ისე, როგორათაც გასაზღელად მიბარებულს შვილსა და არ გარჩევს შენ საკუთარის შვილისაგან. დრო არის, გაიღვიძო და იგრძნო შენზედ ბოძებული წყალობა, გამოხვიდე მაგ შენის ძველის უშესაბამოს და კერპულის ჩვეულებისაგანა, იტვირთო გულსმოდგინებით ეს ახალი განათლებული დრო, რომელიც მიგიყვანს და დაგადგენს იმ განათლების წერტილზედა, რომელზედაცა სდგას დღეს ევროპა.

### გამოსვლა მეშვიდე

ივინივე, მამასახლისი და ბარბარე

ბარბარე - (შემოვა, მამასახლისი უკან მოსდევს, იმათ თავს დაუკრავს და მერე ჰკითხავს) ბატონებო, ჩემი წიგნი რომელსაც გაქვსთ?

პარმენ – გამზდელი, წიგნი მე მაქვს, მაგრამ შენთან ერთი სათხოვარი გვაქვს, რომელიც შენთვის საძნელო არ არის, ის აგვისრულე, წიგნსაც მოგცემთ და ფულებსაცა.

ბარბარე – რა გახლავსთ, მიბრძანეთ.

პარმენ – შენ წედან გაიგე ჩვენი ჰაზრი, რისთვისაც მოვსულვართ. თუ ეცდები, რომ ეს ჰაზრი აგვისრულე, ბევრს ფულს მოგცემთ.

ბარბარე – რომელი ჰაზრი?

პარმენ – რომ შენმა გაზდილმა თავისი სახე გადაგახატვინოს.

ბარბარე – ვიშ... რას ბძანებთ მაგასა? თავის სახეს მზესაც სწორეთ არ აჩვენებს ხომე, არამც თუ თქვენ გადაგახატვინოთ. მე ისიც მიკვირს, რომ დაგვლაპარაკათ, მაგრამ ისეთს ალაგს დაუხვდით, რომ შერცხვა, სახტად დარჩა და მეტი ღონე აღარ იყო, რომ არ დაგვლაპარაკებოდათ.

გრიგოლ – შენი ჭირიმე, გამზდელი, უნდა ეცადო როგორმე, შენ შეგიძლიან! (პარმენს ფრანციცულად) დესი დელა, ოტრმან ჟ სვი პერდიე; ილ ფო კ ჟეი სონ პორტრე (თარგმანი – დაიყოლიე როგორმე, თორემ ველარ ვიცოცხლებ იმის უპორტრეტოთა)

პარმენ – გამზდელი, თუ შენ მონინდომე, შეგიძლიან, ღმერთი გაცხონებს, ეცადე!

ბარბარე – ვერა, გენაცვალეთ, მე მაგას ვერ შევძლებ. არა მგონია, რომ თანახმა გაგიხდესთ. მიბოძეთ წიგნი, რომელსა გაქვსთ, მინდა წავიდე.

პარმენ – ჩვენ წიგნი არ გვაქვს, განგებ მოვიგონეთ, რომ ვიცოდით, უიმისოთ არ მოხვიდოდი. დედაშვილობას, ეცადე და ჩვენც გადაგვახდევინე.

ბარბარე – წიგნი არა გაქვსთ?.. მაშ, მშვიდობით, მე მაგას ვერ ავასრულებ (მიდის)

პარმენ – (სახქართო ჯიბიდან ოქროებს ამოიღებს, დაანახებს და დაუძახებს) გამზდელი, აბა, აქ შემოიხედე.

ბარბარე – (გვერდზედ გადმოხედავს და, ოქროებს რომ დაინახავს, დატორტმანდება ადგილობრივად). ჰა, რა ვიცი, იქნება ვეცადო და ავასრულო (ოქროებს გადასცქერის).

პარმენ – თუ მოინდომებ, ყველა შეგიძლიან. აი, რამტელი ოქროა!

ბარბარე - რამტელია?

პარმენ – (ხელში ჩაუთვლის) ოცია.

ბარბარე - (ხელს მოკუმავს მაგრა) მაშ, თქვენ აქედან მოეფარეთ სადმე ახლოსა, მე წავალ და ჩემს გაზდილს აქ წყლის პირისაკენ გამოვასეირებ, ლაპარაკს დაუწყებ და ვეცდები, რომ დავიყოლიო. თუ გაჭირდეს, თქვენც უეცრად შემოდით და შეეხვეწებით, თქვენი შერცხვება და რაკი მეც ვეტყვი, თანახმა გავიხდება.

პარმენ – ძალიან კარგი იქნება(ბარბარე გაეა)

გრიგოლ - (ფრანციცულად) ოჰ, ალა ფენ დე ფენ, მე დე ზირ ს სონტ აკომპლი; ო, ფამ აღორაბლ! კელ ბონერ დაეუარ ტონ პორტრე(თარგმანი – ოხ, ახლა კი ველირსები ჩემი სურვილის აღსრულებასა. ოხ, მშვენიერო ქალო, რა რიგათ ვისიამოვნებ შენის პორტრეტის ქონებითა (ჰკოცნის ხელით) მწა... მწა... წა... წა... წავიდეთ, პარმენ (სახქართო დაცვივიან ორნივე)

გამოსვლა მერვე

შემოდინ ტასია და ბარბარე

ბარბარე – გაზდილო, შენმა დარჩენამ, საუცხოო ტაროსია.

ტასია – ძალიან საუცხოოა, გამზდელი. მოგცეს იმათ წიგნი?

ბარბარე – წიგნი კი არა და...

ტასია - რატომ?

ბარბარე - წიგნი როდი ჰქონიათ, შენ გენაცვალოს შენი გამზდელი, სხვა საქმისათვის დავეძახნეთ.

ტასია - რა საქმისათვისა?

ბარბარე - ვითომც შენა გთხოვო, რომ ნება მისცე შენის სახის გადახატვისა.

ტასია - მერე შენ რა პასუხი მიეცი?

ბარბარე - მე ჩემის მხრით თანახმა გაუხდი და არ ვიცი, შენ რას ინებებ.

ტასია - ქა, უი დამიდგა თვალი, ნება როგორ მიეცი!

ბარბარე - რა არის ქალო, რა საძრახისია?

ტასია - როგორ საძრახისი არ არის, ჩემი სახე გადავახატვინო და იმას ესაყვარლებოდენ?!

ბარბარე - შენთან ხომ ახლო ვერ მოვლენ და ცარიელს, გამხმარს ქადალდსა, რა ერთაც უნდათ, ესაყვარლონ.

ტასია - ქა, მაგას რას მეუბნები: ვინცა ნახოს, ხომ იცნობენ და იტყვიან, ეს იმისი სახეაო. არა, გამზდელი, მე მაგას ვერ ავასრულებ.

ტასია - იმითი რა დაგაკლდება, რო სთქვან? განა სხვაგან არსადა ჰკიღია სახეები? აი, ბიძაშენის სახლში იმ დღეს არა ვნახეთ: ზოგი ლამაზი ქალის სახე ჰკიღია, ზოგი ძაღლისა; ზოგი კამბეჩისა და ზოგი ვირისა. რა სირცხვილია, რომ იმათში შენი სახეც ეკიდოს?

ტასია - არა, მე მაგას ვერ ავასრულებ. ვწუხვარ, რომ შენ სიტყვა მიგიცია იმათთვისა.

ბარბარე - შენ გენაცვალოს შენი გამზდელი, აასრულე! საწყელები, მეცოდებიან, მომატებულათ იმ ერთმა კინაღამ იტირა. გენაცვალე შეიბრაღე.

გამოსვლა მეცხრე

(შემოცვივდებიან უეცრათ: პარმენ, მამასახლისი, გზირი, იასაული და გლეხები)

გრიგოლ – შენი ჭირიმე, კნეინავ, შემობრალე... არამც თუ კინაღამ, ღმერთს გეფიცები, თუ ნება არ მიბოძე, მართლა ვიტირებ.

პარმენ – კნეინა, უკაცრავათ ნუ ვიქნები: რა არის აგრე უჯიასტობა. აბა, რას ხედავთ გადახატვაში წინააღმდეგსა? შენმა გაზღამ, თუ წინააღმდეგი იყოს რამე, მეც თითონ ქართველი ვარ, მევე დაგიშლი.

ტასია - უკაცრავათ, ბატონებო, არ შემიძლიან ნება მოგცეთ.

გრიგოლ – (დაუჩოქებს) კეკლუცთა მეფავ!.. ილი პროსტა (ფრანციცულათ) დეეს დე ლა ბოტე! (თარგმანი – მშვენიერთა ხელმწიფავ) ნება მიბოძე, შენი ჭირიმე, შენის გარდახატვისა. შემობრალე შენს წინ დაჩოქილი!..

პარმენ – (დაუჩოქებს) კნეინა, შეგვიბრალე შენს წინ დაჩოქილები! გამზდელო, შენც შეევედრე, შენს ცხონებასა.

ბარბარე – (დაუჩოქებს) გაზდილო, შენ გენაცვალე, შეიბრალე ეს საცოდავები!

პარმენ – გლეხნო, თქვენც დაუჩოქეთ, შეევედრეთ.

გლეხნი – (ერთათ დაიჩოქებენ) ქალბატონო, აი, ჩვენც დაგიჩოქეთ... შეიბრალეთ ეს საწყელები!

ტასია - (გაოცებით შეწუხებული) კარგია, ბატონებო, ნუ სწუხდებით, აბძანდით, ნება მომიცია(ყველანი წამოსდებიან)

გრიგოლ და პარმენ – დიდად გმადლობთ, კნეინა, რომ ჩვენის გულის საწადელსა გვწიე და ჩვენს თხოვას პატივი დასდეთ.

პარმენ – იასაულო, შენ წადი, ტივი დაამზადებინე, ჩვენ როგორც გადავხატავთ, მაშინვე წავალთ.

იასაული – ბატონი ბძანდები შენი ჭირიმე(გავა)

პარმენ – გრიგოლ, აბა დაიწყეთ გლეხნო, თქვენ მოგვეფარებით იქითა, სანამ დაეხატავდეთ. მამასახლისო, შენ და გზირი კი აქ იყავით.

მამასახლისი – ბატონი ბძანდები შენი ჭიიმე (გლეხები გაველენ)

პარმენ – კნენა, უკაცრავათ, შენი ჭიიმე, რომ სახლში არ გიახელით დასახატავათა, მაგრამ, რადგანც თქვენ დიდს უარს იყავით, ამისთვის დრო მოვიგეთ და აქ შეგემთხვით. გთხოვთ ნუ გეწყინებათ.

ტასია - სინიდისმა შემაწუხა, რომ მაგისტანა კაცებმა იმ გვართა მთხოვეთ, თორემ არას გზით ნებას არ მოგცემდით. გთხოვთ, ჩქარა გადამხატოთ, უცხო არავინ მოვიდეს და არა გვნახოს.

გრიგოლ – ემ მინუტში, თქვენმა მზემა. მაინც აქ კარგი ჰაერი გახლავსთ. ინებებთ, სკამი მოვატანინო თუ?

ტასია - არა უშავს რა, არ მინდა, ხოლოდ ჩქარა გადამხატეთ.

გრიგოლ – ახლავ, მამასახლისო, შენ მე მომიშვირე ზურგი და გზირმა პარმენსა.

მამასახლისი – ბატონი ბძანდები, შენი ჭიიმე (აასრულებენ ისე და გრიგოლ დაიწყებს ხატვასა და იმის ჩუმათ ლექსს ანბობენ)

გრიგოლ – ტანი მსგავსი –

პარმენ – ალვის ხისა.

გრიგოლ – პირი ბადრი –

პარმენ – მსგავსი მზისა.

გრიგოლ – თვალი შავი –

პარმენ – გიშრის ფრისა.

გრიგოლ – სახეს უხდება –

პარმენ – ზილფ კავები.

გრიგოლ – წელზედ აყრია –

პარმენ – ნაწნავები.

გრიგოლ – ტუჩი წითელი,

პარმენ – ვარდის ფერი.

გრიგოლ – თითები თეთრი,

პარმენ – ბროლის ფერი.

გრიგოლ – თავით ფეხამდინ შემკული,

პარმენ – ვარდის კონა, თაიგული.

ტასია - ბატონებო, გაათავეთ, თორემ მე ამის მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან.

გრიგოლ და პარმენ – (ერთათ) აი, ხელმწიფავ, მოვრჩით ინებეთ, წაბძანდით, შენი ჭირიმე. დიდათ გმადლობთ ჩვენის თხოვნის აღსრულებისათვისა.

ტასია – არაფერსა (დაუკვრენ ერთმანეთს თავსა და ტასია გამზდელით გავა).

პარმენ – დაუძახე მამასახლისო, გლეხებსა.

მამასახლისი – ბატონი ბძანდები, თქვენი ჭიიმე. (გასძახებს) აქ შემოდით ბჭო, გიბძანებენ (გლეხები შემოვლენ)

პარმენ – მამასახლისო, (გადაუგდებს) აჰა, ეს სამი მანეთი შენა და სამიც მაგ გლეხკაცებსა. ჩვენი სადღეგრძელო დალიეთ.

გლეხები - (ერთიანი ხმა გლეხებისა) მადლობელი გახლავართ, თქვენი ჭიიმე..

გრიგოლ – ახლა კი ვეწიე ჩემის გულის წადილსა (ჰკოცნის პორტრეტსა და ფრანციცულათ) ოჰ, კომ ვუ ზეტ ბელ (თარგმანი – ოხ, რა მშვენიერი ხარ ქალო!)

პარმენ – მეც მაკოცნინე, ვეჟო! (წასწვდება და აკოცებს პორტრეტსა)



გრიგოლ – (ჰკოცნის) ჩემო მშვენების ღმერთავ!..

პარმენ – ჩემო მხიარულებავ! (წასწვდება და აკოცებს)

პარმენ და გრიგოლ – (ორნივე ფრანციცულათ იძახიან) ღა დეეს დე მონ კერ (თარგმანი – ჩემის გულის ღმერთავ!..) ერთი ერთმანეთის წასწრობით ჰკოცნიან პორტრეტსა, იმავე სიტყვას იძახიან და თან გადიან მარცხნივ).

გლეხები – (ერთობით სიცილით და გაკვირვებით) აიჰე... აიჰე... აიჰე... რამ დააგიჟათ ეს ოჯახქორები. ე... სულ არ დაფეთდენ, თქვენი ჭიიმე... (იცინიან) ხა... ხა... ხა...

### გამოსვლა მეათე

პარმენ, გრიგოლ და მეტივეები მოდიან ტივითა და მოისმის სიმღერის ხმა

ჩემო ტივო, ჩაკმაზულო,

ოშტაყვირო, მოსასმელო,

სატიოზედ რომ ჩავიდეთ,

ზედ კულავ დაზედ სასმელო.

(შემოდინ სცენაზედ და ერთი მეორე მეტივეს უძახის)

პირველი მეტივე – ბოლო მოიგდე, ბიჭო, ბოლო, არ დაგვირიყოს!

მეორე – ნუ გეშინიან, მოისვი

პარმენ და გრიგოლ - (უყვირიან ხალხსა) მშვიდობით, ძმანო, მშვიდობით!

გლეხები - (ერთობით) ღმერთმა გადაეძელოთ, თქვენი ჭიიმე!

(გადიან სცენიდან და ფარდა დაეშვება).

